ხელშეკრულება № 24
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. თბილისი ,, 03 ,,ნოემბერი 2016 წ.

ერთის მხრივ სსიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლა“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან გარდაფხაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ოცნების სამყარო“(შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჩხიკვაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საბიუჯეტო სახსრებით, სპორტული ღონისძიებისთვის პატარა ბურთების სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

1.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV –

### 2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 53 (ორმოცდაცამეტი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს;

2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

### 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება 2016 წლის 31 ნოემბრის ჩათვლით;

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი;

### 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, ასევე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

### 5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი ვალდებულია:

- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

- ✓ გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ხელშეკრულების საგანი შეთანხმებული პირობებით;
- ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

### 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით;

6.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

### 7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო

გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

### 8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### 10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

10.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

### 11. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის
სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლა“
მის: თეთრიწყაროს რაიონი, სოფ. ჭივჭავი
საიდენტიფიკაციო კოდი: 230866989
ს.ს ლიბერთი ბანკი
კოდი: LBRTGE22
ანგ. № GE28LB0121114564145001

ტელ: 591 05 86 05

დირექტორი
რუსუდან გარდაფხაძე

შპს „ოცნების სამყარო“

მის: ქ. თბილისი, წერეთლის 11
ს/კ: 404915623
ს.ს საქართველოს ბანკი
კოდი: BAGAGE22
ანგ. № GE88BG0000000315098100

ტელ: (995 32) 2380822

დირექტორი
ხათუნა ჩხიკვაძე

მიღება-ჩაბარების აქტი № 24

ქ. თბილისი

03 ნოემბერი 2016 წ.

ჩვენ ქვემოთ სსიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლა" (შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან გარდაფხაძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შპს ,,ოცნების სამყარო" (მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ხათუნა ჩხიკვაძის სახით, წინამდებარე აქტით ვადასტურებთ, რომ მხარეთა შორის 2016 წლის 02 ნოემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 24-ე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელმა გადასცა შემსყიდველს რეზინის პატარა ბურთები ღირებულებით 53 (ორმოცდაცამეტი) ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები მიმწოდებლის მიერ შესრულებულია.

სსიპ „თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლა"

-------------------/რ.გარდაფხაძე/

შპს ,,ოცნების სამყარო"

-------------------/ხ.ჩხიკვაძე/

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0271175212 |
|---|---|---|

| 2 | 03/11/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 18:05:30 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ოცნების სამყარო | 404915623 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჭივჭავის საჯარო სკოლა | 230866989 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | წერეთლის41 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | თეთრიწყაროს სოფელი ჭივჭავი |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | ხელით გადაზიდვა |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბურთი მეშოკშპი | 26040 | ცალი | 1.0000 | 11.9000 | 11.9000 |
| 2 | ბურთი კალათბურთის პატარა 2652-1 | 26283 | ცალი | 5.0000 | 2.9000 | 14.5000 |
| 3 | ბურთი სმაილი 2652-2 | 20735 | ცალი | 5.0000 | 1.2000 | 6.0000 |
| 4 | ბურთი დ2360-1 | 24022 | ცალი | 5.0000 | 4.3000 | 21.5000 |

| 13 | 53.9 - ორმოცდაცამეტი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 11/11/2016 | 10:23:00 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|